# ახალი წყალტუბო

საქართველოს კპ წყალტუბოს რაიკომისა და
რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს ორგანო

АХАЛИ ЦХАЛТУБО Орган Цхалтубского Райкома КП Грузии
и райсовета депутатов трудящихся

გამოცემის XVII წელი

№ 82 (1688), ოთხშაბათი, 14 მარტი, 1956 წ. ფასი 15 კაპ.


საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი და
სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო პირველხარისხოვან მნიშვნელობას ანიჭებენ
კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მეურნეობის ყოველმხრივ განვითარებასა
და განმტკიცებას, სასოფლო-სამეურნეო წარმოების ყველა დარგის მკვეთრ ალ-
მავლობას შრომის ნაყოფიერების შემდგომი გადიდების, სულ უფრო მზარდი
ორგანიზაციული და ტექნიკური დახმარების საფუძველზე, რასაც სახელმწიფო
უწევს კოლმეურნეობებს, და იმ საფუძველზე, რომ განვითარდეს თვით კოლმე-
ურნეობათა და კოლმეურნეთა ინიციატივა კოლექტიური მეურნეობის ორგა-
ნიზაციასა და გაძლოლაში ადგილობრივ პირობებთან შეფარდებით.

(სკკპ ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის
მინისტრთა საბჭოს დადგენილებიდან)

# საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცე-
ნტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინის-
ტრთა საბჭომ განიხილეს სასოფლო-სამეურნეო
არტელის წესდების და საკოლმეურნეო წარმოე-
ბის ორგანიზაციასა და არტელის საქმეთა მართ-
ვაში კოლმეურნეთა ინიციატივის შემდგომი გან-
ვითარების საკითხი, აგრეთვე კოლმეურნეთათვის
ყოველთვიურად ავანსების მიცემის და კოლმეურ-
ნეობებში შრომის დამატებითი ანაზღაურების სა-
კითხი და მიიღეს ამ საკითხებზე შემდეგი დად-
გენილებანი.

## სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების და საკოლმეურნეო წარმოების ორგანიზაციასა და არტელის საქმეთა მართვაში კოლმეურნეთა ინიციატივის შემდგომი განვითარების შესახებ

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის
ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინი-
სტრთა საბჭო პირველხარისხოვან მნიშვნელობას
ანიჭებენ კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მე-
ურნეობის ყოველმხრივ განვითარებასა და განმტ-
კიცებას, სასოფლო-სამეურნეო წარმოების ყველა
დარგის მკვეთრ აღმავლობას შრომის ნაყოფიერე-
ბის შემდგომი გადიდების, სულ უფრო მზარდი
ორგანიზაციული და ტექნიკური დახმარების სა-
ფუძველზე, რასაც სახელმწიფო უწევს კოლმეურ-
ნეობებს, და იმ საფუძველზე, რომ განვითარდეს
თვით კოლმეურნეობათა და კოლმეურნეთა ინი-
ციატივა კოლექტიური მეურნეობის ორგანიზაცი-
ასა და გაძღოლაში ადგილობრივ პირობებთან შე-
ფარდებით.

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრო-
ბის ხელმძღვანელობით ჩვენს ქვეყანაში, ინდუსტ-
რიალიზაციის საფუძველზე, განხორციელდა მთლი-
ანი კოლექტივიზაცია. სოფლად შეიქმნა ახალი
სოციალისტური წყობილება, რომელმაც ძირეუ-
ლად გარდაქმნა წარმოების და ათეულ მილიო-
ნობით გლეხთა ყოფაცხოვრების საფუძვლები. და-
ქუცმაცებული და პრიმიტიული გლეხური მეურნეობის
ნაცვლად ჩვენს ქვეყანაში შეიქმნა მსხვილი, კო-
ლექტიური სასოფლო-სამეურნეო წარმოება, რო-
მელიც საშუალებას გვაძლევს ფართოდ გამოვიყე-
ნოთ ახალი ტექნიკა, გამოვიყენოთ მოწინავე მეც-
ნიერების ყველა მიღწევა და ვაწარმოოთ მეტი
სასაქონლო პროდუქცია. საკოლმეურნეო წყობი-
ლებამ, შექმნა რა ახალი სოციალისტური ორგა-
ნიზაცია და შრომის უფრო მაღალი ნაყოფიერება,
უზრუნველყო შეძლებული ცხოვრების ფართო გზა გაუხსნა საბ-
ჭოთა სოფლის ყველა მშრომელს. ქმნიდნენ რა
კოლექტიურ მეურნეობებს, კომუნისტური პარტია
და საბჭოთა სახელმწიფო ხელმძღვანელობდნენ და
ხელმძღვანელობენ იმით, რომ შრომის უფრო მა-
ღალი ნაყოფიერება და ახალი საზოგადოებრივი დი-
სციპლინის შემდგომი განმტკიცება კოლმეურნეობე-
ბში შეიძლება მიღწეულ იქნას მხოლოდ კოლმეურ-
ნეთა ნამდვილი თვითმოქმედებისა და არტელის
მეურნეობის მართვაში აქტიური მონაწილეობის
საფუძველზე.

საკოლმეურნეო წყობილების განმტკიცებისათ-
ვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმას, რომ კოლ-
მეურნეთა მეორე ყრილობამ მიიღო სასოფლო-
სამეურნეო არტელის სანიმუშო წესდება, რომელ-
შიც განზოგადებულია იმ დროისათვის შეძენი-
ლი გამოცდილება კოლექტიური მეურნეობის გაძ-
ღოლისა. წესდების მიღების დროიდან ოც წელი-
წადზე მეტი გავიდა. ამ ხნის განმავლობაში დიდი
ცვლილებები მოხდა საკოლმეურნეო სოფლის ცხოვ-
რებაში, შეძენილია მრავალდარგოვანი საზოგადო-
ებრივი მეურნეობის მშენებლობის ახალი, მდიდა-
რი გამოცდილება. გაიზარდა კოლმეურნე გლეხო-
ბის პოლიტიკური შეგნება, გაიზარდა მის მიერ
საერთოსახელმწიფოებრივი ინტერესების გაგება,
კიდევ უფრო განმტკიცდა მუშათა კლასისა და
გლეხობის კავშირი მუშათა კლასის ხელმძღვანელი
როლის პირობებში. შექმნილია საკოლმეურნეო
წარმოების ახალი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.

ამჟამად კოლმეურნეობებში თითქმის მთლია-
ნად მექანიზებულია მინდვრის ყველა სამუშაო,
იზრდება სამუშაოთა მექანიზაცია მეცხოველეობა-
ში და საკოლმეურნეო წარმოების სხვა დარგებში.
გაფართოვდა და განმტკიცდა კოლმეურნეობათა
ურთიერთობა მანქანა-ტრაქტორთა სადგურებთან,
რომლებიც ახლა გადამწყვეტ ძალას წარმოადგე-
ნენ კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მეურნე-
ობის აღმავლობაში. ჩვენს ქვეყანაში განხორციელ-
და კოლმეურნეობათა გამსხვილება. მანქანა-ტრაქ-
ტორთა სადგურები და კოლმეურნეობანი განმტკი-
ცებული არიან ხელმძღვანელი კადრებით და სპე-
ციალისტთა კადრებით. მტს-ებსა და კოლმეურნე-
ობებს ახლა, როგორც წესი, სათავეში უდგანან
გამოცდილი მუშაკები, რომლებსაც უნარი შესწევთ
პრაქტიკულად გადაჭრან მსხვილი მრავალდარგო-
ვანი მეურნეობის ორგანიზაციის საკითხები. ხორ-
ციელდება დიდმნიშვნელოვანი სახელმწიფოებრივი
ღონისძიებანი იმისათვის, რომ გადიდდეს კოლმე-
ურნეობათა და კოლმეურნეთა მატერიალური და-
ინტერესება სასოფლო-სამეურნეო წარმოების გან-
ვითარებით. შემოღებულია სოფლის მეურნეობის
დაგეგმვის ახალი წესი, კოლმეურნეობებს მიეცათ
შესაძლებლობა სასაქონლო პროდუქციის მოცუ-
ლობის დარგში სახელმწიფო დავალებათა საფუძ-
ველზე თვითონ დაგეგმონ მთელი საზოგადოებრი-
ვი მეურნეობის განვითარება ადგილობრივ პირო-
ბებთან შეფარდებით, რათა ყოველ ას ჰექტარ სა-
სოფლო-სამეურნეო სავარგულებზე მიიღონ სასო-
ფლო-სამეურნეო პროდუქციის მაქსიმალური რა-
ოდენობა პროდუქციის ერთეულზე შრომისა და
სახსრების რაც შეიძლება ნაკლები დახარჯვით.

ამ პირობებში, როდესაც საკოლმეურნეო მშე-
ნებლობა თავისი განვითარების ახალ საფეხურზე
ავიდა და კოლმეურნეობებს უხდებათ გადაწყვი-
ტონ სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემდგომი
აღმავლობის ახალი ამოცანები, სასოფლო-სამეურ-
ნეო არტელის სანიმუშო წესდება უკვე ვერ მოი-
ცავს კოლმეურნეობათა მრავალფეროვანი ცხოვ-
რებისა და საქმიანობის ყველა მხარეს, მთელ რიგ
შემთხვევებში ზღუდავს მათს ინიციატივას საზოგა-
დოებრივი მეურნეობის გაძღოლის ისეთი წესის
დამყარებაში, რომელიც ყველაზე უფრო შეესაბა-
მება კოლმეურნეობის მუშაობის კონკრეტულ პი-
რობებს.

მრავალ წერილში, რომლებიც კოლმეურნეობე-
ბისა და კოლმეურნეებისაგან მოდის საბჭოთა კავ-
შირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კო-
მიტეტსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში,
წამოყენებულია წინადადებანი სასოფლო-სამეურ-
ნეო არტელის სანიმუშო წესდების ზოგიერთი დე-
ბულების შეცვლის შესახებ და განსაკუთრებით
აღძრულია საკითხები: საკარმიდამო ნაკვეთების
გამოყოფის წესისა და მათი ოდენობის, კოლმეუ-
რნის კომლის პირად საკუთრებაში მყოფი პირუ-
ტყვის რაოდენობის, საკოლმეურნეო საძოვრების
გამოყენების წესის, შრომადღეების მინიმუმის გან-
საზღვრის, კოლმეურნეობებიდან კოლმეურნეთა
გარიცხვის, შემოსავლის განაწილების, კოლმეურ-
ნეობათა გამგეობების უფლებათა გაფართოების
და სხვა საკითხები. როგორც კოლმეურნეები სა-
მართლიანად აღნიშნავენ, ის გარემოება, რომ სა-
სოფლო-სამეურნეო არტელის სანიმუშო წესდებით
გათვალისწინებულია კოლმეურნეთა კომლებისათ-
ვის საკარმიდამო ნაკვეთების გამოყოფა მიუხედა-
ვად იმისა, თუ რა შრომით მონაწილეობას იღე-
ბენ საზოგადოებრივ მეურნეობაში კოლმეურნეო-
ბის შრომისუნარიანი წევრები, ეწინააღმდეგება
კოლმეურნეობათა ორგანიზაციულ-სამეურნეო გა-
ნმტკიცების ამოცანებს. ზოგჯერ დაუდევარ კოლ-
მეურნეებს, რომლებიც ცოტა შრომადღეს გამოი-
მუშავებენ ხოლმე, ხოლო ზოგჯერ ისეთ ადამიანებ-
საც, რომლებმაც ფაქტიურად ყოველგვარი კავშირი
გაწყვიტეს კოლმეურნეობასთან, აქვთ დიდი საკარ-
მიდამო ნაკვეთები, სარგებლობენ საკოლმეურნეო
საძოვრებით, იღებენ სხვა შეღავათებს, რომლებიც
დაწესებულია კოლმეურნეებისათვის, და ამავე
დროს არ ასრულებენ კოლმეურნეობის წევრთა
ელემენტარულ მოვალეობებს. ამის შედეგად გა-
მოდის, რომ კეთილსინდისიერად მომუშავე კოლ-
მეურნეებს ეკისრებათ მთელი პასუხისმგებლობა
მეურნეობის კოლექტიური გაძღოლის შედეგები-
სათვის, სახელმწიფოს წინაშე კოლმეურნეობის
მიერ ვალდებულებათა შესრულებისათვის, ხოლო
დაუდევარი კოლმეურნეები, რომლებიც შრომით
არ მონაწილეობენ არტელის საზოგადოებრივ მე-
ურნეობაში, სარგებლობენ კოლმეურნის ყველა
შეღავათით და ზრდიან თავიანთ პირად მეურნე-
ობას საზოგადოებრივი მეურნეობის საზიანოდ,
ესე იგი არტელის ყველა წევრის საერთო ინტერე-
სების საზიანოდ.

საკოლმეურნეო მშენებლობის მთელი გამოც-
დილება დამაჯერებლად მოწმობს, რომ კოლმეურ-
ნეების პირად მოთხოვნილებათა ყველაზე სრული
დაკმაყოფილება შეიძლება განხორციელდეს მხო-
ლოდ კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი წარმო-
ების ყოველი ღონისძიებით განვითარების გზით.
კოლმეურნის კომლის პირად საკარმიდამო მეურ-
ნეობას უნდა ჰქონდეს დამხმარე ხასიათი, იგი სა-
ჭიროა, სანამ კოლმეურნეობის საზოგადოებრივი
მეურნეობა საკმაოდ განვითარებული არ არის
იმისათვის, რომ ერთსა და იმავე დროს სავსებით
დაკმაყოფილდეს კოლმეურნეობის საზოგადოებრი-
ვი საჭიროებებიც და კოლმეურნეთა პირადი მო-
თხოვნილებებიც. თვითეულ კოლმეურნეობაში სა-
ქმე ისე უნდა დავაყენოთ, რომ საზოგადოებრივი
მეურნეობა განუწყვეტლივ ვითარდებოდეს, აწარ-
მოებდეს მეტ სავაჭრო სასოფლო-სამეურნეო
პროდუქციას და ამ საფუძველზე სულ უფრო
სრულად აკმაყოფილებდეს სახელმწიფოს, კოლმე-
ურნეობებისა და კოლმეურნეთა მოთხოვნილებებს
ამ პროდუქციაზე. ჩვენში უკვე ცოტა როდია კო-
ლმეურნეობა, რომლებშიც სასოფლო-სამეურნეო


(გაგრძელება მე-2 გვერდზე)

# საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში

(გაგრძელება)

პროდუქტების წარმოებამ ისეთ დონეს მიაღწია, როცა ნატურალური და ფულადი შემოსავალი, რასაც კოლმეურნეები შრომადღეებზე საზოგადოებრივი მეურნეობისაგან იღებენ, იმდენად გაიზარდა, რომ კოლმეურნე დაინტერესებული არ არის ჰქონდეს პირადი დამხმარე მეურნეობა წესდებით გათვალისწინებული ოდენობით. ამიტომ საჭიროა ვესწრაფოდეთ, რომ საზოგადოებრივი მეურნეობის როლი ყველა კოლმეურნეობის კოლმეურნეთა შემოსავალში სისტემატურად იზრდებოდეს და კოლმეურნეთა ყველა საჭიროება ძირითადად კმაყოფილდებოდეს საზოგადოებრივი მეურნეობის საშუალებით, და საკოლმეურნეო წარმოებაში მონაწილეობით მიღებული შემოსავალი შეადგენდეს კოლმეურნეთა საერთო შემოსავლის ძირითად წილს, ხოლო საკარმიდამო ნაკვეთს და მისგან მიღებულ შემოსავალს ნამდვილად ჰქონდეს დამხმარე მნიშვნელობა და აკმაყოფილებდეს კოლმეურნის უმთავრესად პირად მოთხოვნილებებს ახალ ბოსტნეულზე, ხილზე, კენკრაზე და რომ საკარმიდამო ნაკვეთებზე გაშენდეს ბაღები, საკენკრეები კოლმეურნეთა ყოფაცხოვრების დასამშვენებლად.

ბევრი კოლმეურნე თავის წერილში იმ აზრს გამოთქვამს, რომ კოლმეურნეობებს მიენიჭოთ უფლება თვითონ განსაზღვრონ კოლმეურნეთა კომლების საკარმიდამო ნაკვეთების ოდენობა: აგრეთვე გადაწყვიტონ შინასაკოლმეურნეო ცხოვრების სხვა საკითხები კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მეურნეობის უსწრაფესი აღმავლობისა და კოლმეურნეთა მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესების ინტერესებისათვის.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ აღნიშნეს, რომ მთელ რიგ რაიონებში არის ფაქტები საკოლმეურნეო დემოკრატიის დარღვევისა ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოების მხრივ, როცა კოლმეურნეობებს თავს ახვევენ ზოგად ორგანიზაციულ ფორმებსა და სამეურნეო ნორმატივებს, რომლებიც არ შეეფერება წარმოების კონკრეტულ პირობებს და მეურნეობის განვითარების დონეს. ზოგჯერ ზემოდან ხდებოდა კოლმეურნეობათა საშინაო ცხოვრების თვით ისეთი საკითხების რეგლამენტაცია, როგორიც არის ბრიგადებისა და რგოლების მოწყობა, კოლმეურნეთა შრომის ნორმირება და ანაზღაურება, ბრიგადირთა და კოლმეურნეობების სხვა თანამდებობის პირთა მოვალეობის განსაზღვრა, რომელთა გადაწყვეტის დროს განსაკუთრებით გულმოდგინედ უნდა იყოს გათვალისწინებული თვითეული მეურნეობის პირობები. ნაცვლად კვალიფიციური დახმარებისა კოლმეურნეთა შრომის სწორ ორგანიზაციაში თვითეული მეურნეობის პირობების შესწავლის საფუძველზე, კოლმეურნეობებს თავს ახვევდნენ ზუსტად განსაზღვრულ ნორმებსა და სამუშაოთა შეფასებებს, ერთიან ნორმატივებსა და სამმართველო აპარატის აგების სქემებს და სხვ., თუმცა კოლმეურნეობათა მუშაობის პირობები მკვეთრად განსხვავდება ერთმანეთისაგან.

ბევრ მუშაკს ავიწყდება, რომ სასოფლო-სამეურნეო არტელი ნებაყოფლობით გაერთიანებულ გლეხთა კოლექტიური მეურნეობაა და რომ თვით არტელის წევრები განაგებენ არტელის პროდუქციას და ქონებას და წარმართავენ მის საქმიანობას საბჭოთა ხელისუფლების კანონების, პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებების შესაბამისად, სახელმწიფოს, კოლმეურნეობათა და კოლმეურნეთა ინტერესებისათვის. ავიწყდებათ რა ეს, ასეთი მუშაკები ნაცვლად იმისა, რომ დროზე უთხრან, ურჩიონ კოლმეურნეობებს, თუ როგორ მოაწყონ სწორად მეურნეობა და გაუძღვნენ მას, ღრმად არ სწავლობენ საქმის მდგომარეობას კოლმეურნეობებში, არ სწვდებიან თვითეულ ცალკე მეურნეობის თავისებურებებს და პრაქტიკულად ნაკლებად ეხმარებიან კოლმეურნეობებს.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ დაადგინეს:

რადგან სასოფლო-სამეურნეო არტელის სანიმუშო წესდების მიღების შემდეგ სერიოზული ცვლილებები მოხდა საკოლმეურნეო სოფელში — შეიქმნა ახალი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, შექმნილია კოლექტიური მეურნეობის ორგანიზაციისა და გაძღოლის მდიდარი გამოცდილება, გაიზარდა კოლმეურნე გლეხობის პოლიტიკური შეგნება, კოლმეურნეობები განმტკიცებულია გამოცდილი კადრებით როგორც ქალაქებიდან გაგზავნილი ოცდაათიათასელების, ისე კოლმეურნე გლეხობაში გამოზრდილი კადრების საშუალებით, რომლებსაც უნარი შესწევთ უხელმძღვანელონ მსხვილ მრავალდარგოვან მეურნეობას და პრაქტიკულად სწორად გადაჭრან კოლექტიური მეურნეობის გაძღოლის საკითხები, ამ პირობებში კოლმეურნეობებს თვითონ შეუძლიათ გადაწყვიტონ კიდევ უფრო დამოუკიდებლად, ვიდრე აქამდე, საკოლმეურნეო ცხოვრების საკითხები, ამასთან გაითვალისწინონ სახელმწიფოს საერთო-სახალხო ინტერესები, კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი ინტერესები და კოლმეურნეთა პირადი ინტერესები. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საჭიროდ მიაჩნიათ რჩევა მისცენ კოლმეურნეობებს, მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის მკვეთრი აღმავლობის უზრუნველყოფის მთავარი ამოცანის საფუძველზე, თვითონ შეავსონ და შეცვალონ სასოფლო-სამეურნეო არტელის მიერ მიღებული წესდების ცალკეული დებულებანი კოლმეურნეობის ადგილობრივი, კონკრეტული პირობების გათვალისწინებით.

სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდებაში შესწორებების, ცვლილებებისა და დამატებების შეტანისას საჭიროა მხედველობაში მიღებულ იქნას შემდეგი:

სოფლის მეურნეობის დაგეგმვის ახალი წესის საფუძველზე კოლმეურნეობებისათვის გადაცემული მიწის, როგორც კოლმეურნეობების ძირითადი სიმდიდრის ყველაზე რაციონალური გამოყენების უზრუნველყოფა, კოლმეურნეობისა და მტს-ის წარმოების საშუალებათა, სამუშაო ძალის სრული გამოყენება. არამწარმოებლური ფულადი, ნატურალური და შრომითი დანახარჯების, ადმინისტრაციულ-სამმართველო ხარჯების შემცირება. ამის საფუძველზე კოლმეურნეთა შრომის ნაყოფიერების მნიშვნელოვანი ამაღლება და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის, როგორც კოლმეურნეობის საზოგადოებრივი მეურნეობის შემოსავლის ზრდისა და კოლმეურნეთა მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესების ძირითადი წყაროს გადიდება;

კოლმეურნეთა კომლების საკარმიდამო ნაკვეთების ოდენობის დადგენა არტელის საზოგადოებრივ მეურნეობაში კოლმეურნის ოჯახის შრომისუნარიან წევრთა შრომითი მონაწილეობის გათვალისწინებით. საკარმიდამო ნაკვეთების ოდენობის განსაზღვრისას მიღებულ იქნას მხედველობაში, რომ იმ კოლმეურნეთა ოჯახებს, რომელთა შემადგენლობაში არიან შრომისუნარიანი კოლმეურნეები, რომლებიც არ მუშაობენ კოლმეურნეობაში ან საკმაო შრომითს მონაწილეობას არ იღებენ არტელის საზოგადოებრივ მეურნეობაში, ნაკლები საკარმიდამო მიწა ჰქონდეთ, ვიდრე იმ კოლმეურნეთა ოჯახებს, რომლებიც კეთილსინდისიერად მუშაობენ კოლმეურნეობაში. ამასთან არ უნდა იქნას დაშვებული საკარმიდამო მიწის ფონდის გადიდება კოლმეურნეობის საზოგადოებრივი მიწების ხარჯზე, არამედ, პირიქით, უნდა ეცადონ მის შემცირებას, რამდენადაც საზოგადოებრივი მეურნეობაში მიწების გამოყენება, როცა მტს-ში არის დიდძალი ტექნიკა და მაღალი მექანიზაცია, გაცილებით უფრო ხელსაყრელი იქნება და კოლმეურნეები საბოლოო ანგარიშით მნიშვნელოვნად მეტ შემოსავალს მიიღებენ;

პირუტყვის სულადობის დაწესება, რომელიც კოლმეურნის კომლის პირად სარგებლობაშია, ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით, ამასთან მხედველობაში იქნეს მიღებული, რომ მთელ რიგ რაიონებში, რომლებიც სასოფლო-სამეურნეო არტელის სანიმუშო წესდებით მიკუთვნებული არიან განვითარებული მეცხოველეობის მიწათმოქმედების რაიონებისადმი, და ნახევრადმომთაბარო და მომთაბარო მეცხოველეობის ყოფილ რაიონებში, იმასთან დაკავშირებით, რომ ამ ბოლო დროს მეურნეობის მიმართულებაში დიდი ცვლილებები მოხდა, საქმეთა საჭირო იყოს დატოვება პირუტყვის წინათ დადგენილი რაოდენობისა, რომელიც შეიძლება ჰყავდეს კოლმეურნის კომლს.

შრომადღეების სავალდებულო მინიმუმის დაწესება კოლმეურნეობის საზოგადოებრივ მეურნეობაში შრომის დანახარჯების მოთხოვნილებათა გათვალისწინებით, აგრეთვე გამომუშავების ნორმებისა და სამუშაოთა შრომადღეებით შეფასების შემუშავება, ამასთან გათვალისწინებულ იქნას მექანიზაციის დონე და კეთილსინდისიერად მომუშავე კოლმეურნეების მიერ მიღწეული ფაქტიური გამომუშავება და შრომადღეების ეკონომიური ხარჯვის საჭიროება;

კოლმეურნეობის საზოგადოებრივი წარმოების განვითარებით კოლმეურნეთა მატერიალური დაინტერესების პრინციპის ყოველი ღონისძიებით გამოყენება, არტელის უკეთ მომუშავე წევრთა წახალისება, კოლმეურნეთათვის ყოველთვიურად ავანსების მიცემის, როგორც კოლმეურნეობებში შრომის ნაყოფიერების გადიდების დიდმნიშვნელოვანი სტიმულის შემოღება და ამ მიზნისათვის საჭირო გარდამავალი ნატურალური და ფულადი ფონდების შექმნა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო რჩევას აძლევენ კოლმეურნეობებს შეუნარჩუნონ ტრაქტორისტებსა და სატრაქტორო ბრიგადების სხვა მუშებს, რომლებიც ჩარიცხული არიან მტს-ების მუდმივ სამუშაოზე და კოლმეურნეობაში ცხოვრობენ, საკარმიდამო ნაკვეთები კოლმეურნეთა კომლებისათვის დაწესებული ოდენობით. იმ შემთხვევაში, თუ ტრაქტორისტთა და მტს-ების სხვა მუდმივ მუშათა ოჯახის შრომისუნარიანი წევრები კოლმეურნეობაში არ გამოიმუშავებენ შრომადღეების დაწესებულ მინიმუმს, კოლმეურნეთა საერთო კრების გადაწყვეტილებით მათი საკარმიდამო ნაკვეთის ოდენობა შეიძლება შემცირდეს.

სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდება მასში შეტანილი შესწორებებით, ცვლილებებითა და დამატებებით, რომელსაც მიიღებს კოლმეურნეთა საერთო კრება და რეგისტრაციაში გაატარებს რაიაღმასკომი, სასოფლო-სამეურნეო არტელის საქმიანობის ძირითადი კანონია და მისი დაცვა სავალდებულოა ამ კოლმეურნეობის ყველა წევრისათვის.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს არასწორად მიაჩნიათ, როცა კოლმეურნეთა საერთო კრების გადაწყვეტილებებს კოლმეურნეობებიდან არტელის წევრების გარიცხვის, საკარმიდამო ნაკვეთების ოდენობის შემცირებისა და ზოგიერთ სხვა საკითხზე რაიაღმასკომები აუქმებენ სასოფლო-სამეურნეო არტელების წევრთა დაუკითხავად. ეს საბაბს აძლევს დაუდევარ კოლმეურნეებს ანგარიში არ გაუწიონ მთელი კოლექტივის აზრსა და ინტერესებს, ამცირებს საერთო კრებების როლს და კოლმეურნეთა პასუხისმგებლობას მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილებებისათვის. ამიტომ მიზანშეწონილი იქნება, რომ კოლმეურნეთა საჩივრებს კოლმეურნეობიდან გარიცხვის, საკარმიდამო ნაკვეთის ოდენობის შემცირებისა და სხვა საკითხებზე, რომლებიც რაიაღმასკომებში შედის, ხელმეორედ განიხილავდეს კოლმეურნეთა საერთო კრება, რომლის დადგენილება ამის შემდეგ საბოლოო იქნება.

(დასასრული მე-3 გვერდზე).

# საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში

(დ ა ს ა ს რ უ ლ ი)

...გამო, რომ მთელ რიგ კოლმეურნეობებში,
...ებით საგარეუბნო კოლმეურნეობებში,
...დიდვარი კოლმეურნე და კოლმეურ-
...ების ტერიტორიაზე მცხოვრები ცალ-
...ბი არ ეწევიან საზოგადოებრივ-ნაყო-
...შრომას, ესე იგი სისტემატურად არ მუშა-
...კოლმეურნეობებში, სახელმწიფო საწარმო-
...და დაწესებულებებში ან კოოპერაციულ
...ზოგადოებრივ ორგანიზაციებში, მაგრამ პა-
...მომუშავე კოლმეურნეებთან თანასწორ
...ებში იყოფებიან, სწორი იქნება, რომ ამ
...მართა შესახებ კოლმეურნეობებმა
...გადაწყვიტონ, მიეცეთ თუ არა მათ შე-
...ისარგებლონ საკარმიდამო ნაკვეთე-
...სათიბებითა და სათიბებით.

...გამო, რომ მთელ რიგ მსხვილ კოლმეურ-
...ში, რომლებსაც რამდენიმე დასახლებული
...აქვთ, გაძნელებულია კოლმეურნეთა საერ-
...ბის რეგულარული მოწვევა, მიზანშეწო-
..., რომ კოლმეურნეობებმა პირობების მიხე-
...ვითონ განსაზღვრონ წესი, თუ სად უნდა
...განხილული და გადაწყვეტილი საკოლმე-
...ცხოვრების ესა თუ ის საკითხი: ან საერ-
...კრებებზე, ან რწმუნებულთა, ნდობით აღჭუ-
...ლთა კრებებზე, რომლებსაც კოლმეურნე-
...იწვევენ, ან ბრიგადების კრებებზე.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის
ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მი-
ნისტრთა საბჭომ რაიკომების, საოლქო კო-
მიტეტების, სამხარეო კომიტეტებისა და მოკავ-
შირე რესპუბლიკათა კომპარტიების ცენტრალუ-
რი კომიტეტების, რაიაღმასკომების, საოლქო
აღმასკომების, სამხარეო აღმასკომებას, ავტონო-
მიური და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა
საბჭოების ყურადღება მიაქციეს იმას, რომ სა-
კოლმეურნეო წარმოების ორგანიზაციასა და არ-
ტელის საქმეების მართვაში კოლმეურნეთა ინი-
ციატივის შემდგომი გახვითარება კი არ ამცი-
რებს, არამედ ზრდის პარტიული, საბჭოთა და სა-
სოფლო-სამეურნეო ორგანოების პასუხისმგებლო-
ბას კოლმეურნეობებში საქმის მდგომარეობისათ-
ვის და მოითხოვენ ამაღლდეს სოფლად პოლიტი-
კური და ორგანიზატორული მუშაობის დონე, გაძ-
ლიერდეს კოლმეურნეთა შემოქმედებითი აქტი-
ვობა, ამოძრავდეს სოციალისტური სოფლის მე-
ურნეობის მთელი ძალები და საშუალებანი და გა-
იზარდოს ჩვენი კადრების პასუხისმგებლობა თვი-
თეულ კოლმეურნეობაში საქმის მდგომარეობისა-
თვის.

## კოლმეურნეთათვის ყოველთვიურად ავანსების მიცემისა და კოლმეურნეობებში შრომის დამატებითი ანაზღაურების შესახებ

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის
ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მი-
ნისტრთა საბჭომ აღნიშნეს, რომ უკანასკნელ წლე-
ბში გაიზარდა კოლმეურნეობათა ფულადი შემო-
სავალი და გადიდდა ფულის გაცემა კოლმეურ-
ნეთათვის შრომადღეებზე. მაგრამ კოლმეურ-
ნეობებში არსებული პრაქტიკა, როცა შემოსავ-
ლის ძირითადი ნაწილი, რომელიც უნდა განა-
წილდეს შრომადღეების მიხედვით, კოლმეურნე-
ებს ეძლევათ მხოლოდ სამეურნეო წლის დამთავ-
რების შემდეგ, საკმაოდ არ უწყობს ხელს სასოფ-
ლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების ზრდას
და შეუსაბამება საზოგადოებრივი მეურნეობის
განვითარებით კოლმეურნეთა მატერიალური და-
ინტერესების შემდგომი გადიდების ამოცანებს.
...ბევრი კოლმეურნეობა იყენებს შემოსავლის გა-
ნაწილების უფრო პროგრესულ სისტემას, როცა
კოლმეურნეებს ავანსები ეძლევათ ყოველთვიურად
საზოგადოებრივ მეურნეობაში გამომუშავებულ
შრომადღეებზე. კოლმეურნეთათვის ავანსე-
ბის მიცემით კოლმეურნეობები ქმნიან გარდა-
მავალ და სასურსათო ფონდებს.

კოლმეურნეთათვის ყოველთვიურად ავანსების
მიცემა კოლმეურნეობებში შრომის ნაყოფიერე-
ბის გადიდების დიდმნიშვნელოვანი სტიმულია,
იგი ამაღლებს შრომადღის როლს და ზრდის კო-
ლმეურნეთა დაინტერესებას საზოგადოებრივი მე-
ურნეობის განვითარებით.

მომწიფდა აგრეთვე საჭიროება, რომ გადაი-
სინჯოს კოლმეურნეთა შრომის დამატებითი ანა-
ზღაურების არსებული წესი. ამჟამად, როცა კოლ-
მეურნეობები თვითონ საერთო-სახელმწიფოებრი-
ვი და საერთო-საკოლმეურნეო ინტერესების გათ-
ვალისწინებით გეგმავენ თავიანთი მეურნეობის
განვითარებას, დამატებითი ანაზღაურების არსე-
ბული წესი, როცა მისი გაცემა გეგმის გადაჭარ-
ბებით შესრულებისათვის წესდებოდა თანაბარი
ოდენობით ოლქის, მხარისა და რესპუბლიკის
ყველა კოლმეურნეობისათვის თვითეული კოლმე-
ურნეობის წარმოების დონისა და თავისებურება-
თა გაუთვალისწინებლად, აფერხებს კოლმეურნე-
ობათა ინიციატივას და ხელს არ უწყობს კეთილ-
სინდისიერად მომუშავე კოლმეურნეთა წახალისე-
ბას, რომელნიც გადაჭარბებით ასრულებენ სა-
გეგმო დავალებებს ამა თუ იმ დარგში.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის
ცენტრალურ კომიტეტსა და სსრ კავშირის მი-
ნისტრთა საბჭოს მიაჩნიათ, რომ ამჟამად, როცა
შექმნილია საკოლმეურნეო წარმოების ყველა დარ-
გის მკვეთრი აღმავლობისათვის საჭირო პირობე-
ბები, კოლმეურნეობები ორგანიზაციულად განმ-
ტკიცდნენ და შეიძინეს კოლექტიური მეურნეობის
გაძღოლის საკმაო გამოცდილება, საჭირო აღარ
არის დამატებითი საზღაურის ძიცემის წინათ რე-
კომენდებული წესი და ოდენობა. სასოფლო-სა-
მეურნეო პროდუქციის წარმოებას გადიდებასა
და კოლმეურნეობათა შემოსავლიანობის გადიდე-
ბასთან ერთად განუზომლად იზრდება კოლმეურ-
ნეთა შრომის ძირითადი ანაზღაურება, ამიტომ
დამატებითი ანაზღაურება უნდა იყოს კარგი მუ-
შაობის ანაზღაურების წამახალისებელი ფორმა.

შრომის დამატებითი ანაზღაურება დაგეგმვის
ახალი წესის დროს, როცა კოლმეურნეობა ყველა
არსებული შესაძლებლობის სრული გამოყენების
გათვალისწინებით თვითონ გეგმავს საკოლმეურ-
ნეო წარმოებას და, მიღებული გეგმის მიხედვით,
უწესებს დავალებებს ბრიგადებს (რგოლებს), კოლ-
მეურნეებს, რომლებიც მეცხოველეობასა და მე-
ურნეობის სხვა დარგებში მუშაობენ, უნდა მიე-
ცეთ იმ კოლმეურნეებს, სპეციალისტებსა და მტს-
ების სატრაქტორო ბრიგადების მუშებს, რომლე-
ბიც, იმაღლებენ რა ცოდნის დონეს, იჩენენ შე-
მოქმედებითს ინიციატივას და საკოლმეურნეო
წარმოებაში ნერგავენ ყოველივე მოწინავესა და
პროგრესულს, გადაჭარბებით ასრულებენ საგეგ-
მო დავალებებს, რომლებიც კოლმეურნეობამ იკი-
სრა, და თავიანთი კარგი მუშაობით ქმნიან სოფ-
ლის მეურნეობის დამატებითს პროდუქციას.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის
ცენტრალურ კომიტეტსა და სსრ კავშირის მინი-
სტრთა საბჭოს უფრო სწორად მიაჩნიათ, რომ
კოლმეურნეების, ბრიგადების (რგოლების), მტს-
ების და სატრაქტორო ბრიგადების მუშაკების,
სპეციალისტებისა და კოლმეუნეობათა ხელმძღვა-
ნელი შემადგენლობის შრომის დამატებით ანა-
ზღაურებას სასოფლო-სამეურნეო კულტურების
მოსავლიანობის და მეცხოველეობის პროდუქტი-
ულობის გეგმების გადაჭარბებით შესრულებისა-
თვის აწესებდეს და ამტკიცებდეს კოლმეურნეთა
საერთო კრება. დამატებითი ანაზღაურების გაცე-
მის ოდენობის განსაზღვრის დროს საჭიროა გათ-
ვალისწინებულ იქნას წარმოების დონე, რომელ-
საც მიაღწია ბრიგადამ (რგოლმა) მემინდვრეობა-
ში, მეცხოველეობაში და სოფლის მეურნეობის
სხვა დარგებში, ამასთან დაცულ იქნას დაახლო-
ებით თანაბრად საკოლმეურნეო წარმოების ყვე-
ლა დარგში მომუშავე კოლმეურნეთა წახალისე-
ბის პრინციპი.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის
ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მი-
ნისტრთა საბჭომ დაადგინეს:

საზოგადოებრივი მეურნეობის განვითარებით
კოლმეურნეთა მატერიალური დაინტერესების შე-
მდგომი გადიდების მიზნით რჩევა მიეცეთ კოლ-
მეურნეობებს საერთო კრებების გადაწყვეტილე-
ბით ძლიონ კოლმეურნეებს ყოველთვიურად წლის
განმავლობაში ავანსად შრომადღეებზე სულ ცო-
ტა 25 პროცენტი საზოგადოებრივი მეურნეობის
ყველა დარგისაგან ფაქტიურად მიღებული ფუ-
ლადი შემოსავლისა და იმ ფულადი სახსრების 50
პროცენტი, რომლებსაც იღებენ ავანსად სასოფ-
ლო-სამეურნეო პროდუქციის კონტრაქტაციით,
შესყიდვითა და სავალდებულო ჩაბარებით.

სახელმწიფო ბანკს დავალებული აქვს კოლმე-
ურნეობათა მოთხოვნით ჩარიცხოს მთელი მიღე-
ბული შემოსავლის 25 პროცენტი და იმ სახსრე-
ბის 50 პროცენტი, რომლებიც მიღებულია რო-
გორც ავანსები პროდუქციის კონტრაქტაციით,
შესყიდვათა და სავალდებულო ჩაბარებით, გან-
საკუთრებულ მიმდინარე ანგარიშზე, საიდანაც
ფულის გაცემა კოლმეურნეობის გამგეობას შეუ-
ძლია მხოლოდ კოლმეურნეებისათვის ავანსების
მისაცემად და შრომადღეებზე გასანაწილებლად.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის
ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მი-
ნისტრთა საბჭომ დაავალეს დამზადებათა სამი-
ნისტროს, სსრ კავშირის ხორცისა და რძის პრო-
დუქტების მრეწველობის სამინისტროს, სსრ კავ-
შირის სასურსათო საქონლის მრეწველობის სამი-
ნისტროს და „ცენტროსოიუზს" აძლიონ კოლმე-
ურნეობებს, დაწყებული 1956 წლიდან, მათი მო-
თხოვნისამებრ ფულადი ავანსები იმ მარცვლეუ-
ლის, მზესუმზირას და სხვა ზეთოვანი კულტურე-
ბის, კარტოფილის, ბოსტნეულისა და ხორცის
ღირებულების 50 პროცენტის ოდენობით, რომ-
ლებიც სახელმწიფოს უნდა ჩაბარდეს სავალდე-
ბულო ჩაბარების წესით.

სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკი მოვალეა
შესაბამისი კრედიტი მისცეს დამამზადებელ ორ-
განიზაციებს აღნიშნული მიზნისათვის.

სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინის-
ტროს და სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკს დაე-
ვალათ დაინტერესებული სამინისტროებისა და
უწყებების მონაწილეობით შეიმუშაონ და ერთ
თვის ვადაში დაამტკიცონ ინსტრუქცია კოლმე-
ურნეობებისათვის ზემოაღნიშნული პროდუქტე-
ბის დასამზადებლად ავანსების მიცემის წესის შე-
სახებ.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის
ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მი-
ნისტრთა საბჭოს დადგენილება ითვალისწინებს,
რომ კოლმეურნეობები კაპიტალდაბანდებებისათ-
ვის მიღებულ გრძელვადიან სესხებს პირველ რიგ-
ში ფარავენ საერთო ფულადი შემოსავლიდან,
ამასთან გადახდილ თანხებს გაიღებენ განუყო-
ფელი ფონდების ხარჯზე.

კოლმეურნეობებს რჩევა მიეცათ კოლმეურნე-
თა საერთო კრებების გადაწყვეტილებით მეცხო-
ველეობის და სხვა შენობათა და ნაგებობათა მშე-
ნებლობაზე, აგრეთვე მრავალწლიან ნარგავთა გა-
საშენებლად დახარჯული შრომადღეების ფულადი
ანაზღაურება გაიღონ ფულადი განუყოფელი ფონ-
დების ხარჯზე შემოსავალ-გასავლის დამტკიცებუ-
ლი ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის
ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მი-
ნისტრთა საბჭო რჩევას აძლევენ კოლმეურნეო-
ბებს თვითონ დააწესონ მეცხოველეობაში მომუ-
შავე ბრიგადების (რგოლების), კოლმეურნეების,
მტს-ების სატრაქტორო ბრიგადების მუშაკების,
სპეციალისტებისა და კოლმეურნეობათა ხელმძღ-
ვანელი შემადგენლობის ნატურითა და ფულით
დამატებითი ანაზღაურების წესი და ოდენობა
სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანო-
ბისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის იმ
გეგმების გადაჭარბებით შესრულებისათვის, რომ-
ლებიც კოლმეურნეობებმა შეიმუშავეს და დაამ-
ტკიცეს მთელი არსებული რეზერვების სრული
გამოყენების გათვალისწინებით.